სამშაბათი 1919 წ. მარტის 25 № 66
ფელიეტონი მეხუთე

სამშაბათი 1919 წ. მარტის 25 № 66
ფასი თბილისში პროვინციაში და რკ. გზის სადგურებზე 1 მან.

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს **ავტორის ვინაობა** და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. **დაუბეჭდავი** საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია დიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. **სარედაქციო საქმეების გამო** პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის აღრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. აღრესი: თბილისი, „საქართველო"

კონტორა

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება—50 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 20 მანეთი. ცალკე № 1 მან. **განცხადების ფასი** სტრიქონი **პეტიტისა** პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. **ხამგლოვიარო განცხადება** თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა **15--73**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმათ დამწუხრებულნი: მამა იასონი, მეუღლე ნინო გრიგოლის ასული შვილებით: გრიშა, თამარი, ქეთევანი და რუსუდანი, ძმები ლაზარე და დავითი იასონის ძენი ელერდაშვილები, და ანასტასია იასონის ასული გალდავა, დეიდა ეკატერინე მიხეილის ასული კბილაძე და ცოლის დები ანნა გრიგოლის ასული ქურხული, ბარბალე გრიგოლის ასული ქვლივიძე, მარიამ გრიგოლის ასულუ კაპანაძე, და ცოლის ძმები დიმიტრი და სოლომონი გრიგოლის ძენი დოდაშვილები და ქვისლი დიმიტრი გიორგისძე ქურხული მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და მეგობრებს გარდაცვალებას

გიორგი იასონის ძის

ელერდაშვილისას

პანაშვიდი იქნება ყოველ დღე ექვს საათზე. მისამართი კრასნოგორსკის ქუჩა № 23 ჯაფარიძის სახლში.

1—2249—1

ნიკოლოზ ოჯახობით, ბესარიონ, ვერა და ნინო ჩიქოგიძენი და ნადეჟდა თაყაიშვილი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 21 მარტს ქ. ოზურგეთში გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი ბიძა

მოსე ნიკოლოზის ძე

გოგიტიძე

დაკრძალვა მოხდა იქვე, კვირას, 23 მარტს.

ეკატერინე ნიკოლოზის ასული ჩიქოგიძისა, ელენე ნიკოლოზის ასული თაყაიშვილისა, ივანე და რუბენ ნიკოლოზის ძე გოგიტიძენი მათი ოჯახობით, ნოე ლევანის ძე ჩიქოგიძე განუსაზღვრელ მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 21 მარტს ქ. ოზურგეთში გარდაიცვალა მათი ძვირფასი და საყვარული ძმა

მოსე ნიკოლოზის ძე გოგიტიძე

დაკრძალვა მოხდა იქვე, კვირას, 23 მარტს.

გაუბედურებული მეუღლე ევგენია პანტელეიმონის ასული, ბიძა მღვდელი ალექსი, ძმები: ნიკო და იოსებ კაციას ძენი, რძლები ანნა (ცაცა) იოველის ასული და კატო ნიკოლოზის ასული კურცხალიები, დები: პოლიშკა აბაშიძისა, ევა იაშვილისა და ცაცო ჩხეიძისა, სიძეები: ღენტორ ივანეს ძე აბაშიძე, როსტომ იოსების ძე იაშვილი და კოლია იოსების ძე ჩხეიძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ

მღვდლის გიორგი (გიგა) კვირკცხალიას

ტრაღიკულ გარდაცვალებას. გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება სოფელ არგეთში ოთხშაბათს მარტის 26 ს.

1—2246—1

იოსებ რევაზის ძე ფალავანდიშვილი აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ მათი დაუვიწყარი შვილების

არჩილ და ნინიჩკას

წლის წირვის და პანაშვიდის გადახდას ვირის წმ. ნიკოლოოზის ეკლესიაში 26 მარტს პირველ საათზე.

1—2247—1

ღრმად დამწუხრებულნი და გულ დათუთქულნი პელაგია ზაქარიას ასული ცაბაძისა, შვილები: ოლა, ტასია და სვიმონი აუწყებენ ნაცნობთ, ნათესავთა და მეგობართ რომ პარასკევს, 21 მარტს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის ძვირფასი მაზლი და დანარჩენების მოამაგე ბიძა

ნიკოლოზ გიორგის ძე

ცაბაძე

დაკრძალვა დანიშნულია დღეს, 25 მარტს. მიცვალებულს გამოასვენებენ საკუთარ ბინიდგან (ვაზბეგის შესახვევი № 1) ქვაშვეთის ეკლესიაში დილის 9 საათზე, ხოლო დაკრძალვა მოხდება დიდუბის ეკლესიის გალავანში. (1—2244—1)

იყიდება შეშა

ყოველნაირ ჯიშისა და ზომისა ნიხრზე ნაკლებ მხოლოდ ძმ. ზოდელავას მიერ ახლად გახსნილ საწყობში ბორჯომის ქუჩა № 15.

6—2245—1

მკერვალი კრიჩევსკი

გადავიდა სასახლის ქუჩაზე სახლი № 5 წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების პირდაპირ.

1—2242—1

რესტორანი **პარიზი** **რესტორანი**

ქართულ კლუბის ქვეშ (სასახლის ქუჩა)

სრულიად ახლა გადაკეთებული

ცალკე მოწყობილ დარბაზებით

გაიხსნა 14 მარტიდან

მზადდება ყოველ დღე საგანგებო: საუზმე, სადილი, ვახშამი აზიზ კერძებით.

საუცხოო საჭმელები საქართველოს ყველა კუთხისა და ევროპიული

საგანგებო ყავა-ხანა

✦✦✦ ფასები ზომიერია ✦✦✦

საამხანაგო, საზეიმო სადილ-ვახშმები ფასდაკლებით.

(მსახურთ პროცენტები მოსპობილია)

სასმელები ყველა კუთხისა, ფირმისა და მარკისა.

25 32—7 პატივისცემით: **ხ. გიგიბერია და ვარ. გვათუა.**

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილისა

დღეს, 25 მარტს, წარმოდგენილი იქნება

გეიშა

მონაწილეობენ: საბანეევა, სპიტკო, ვრონსკი, ტაბენსკი და მოლჩანოვი.

26 მარტს **„ტრუბადური"**, 27 მარტს **„აბესალომ და ეთერი"**, 29 მარტს **„კრასნოე სოლნიშკო"**.

მედიცინის დოქტორი

ა. გ. მაჭავარიანი

ქირურგიულ ავადმყოფთათვის. იღებს საღამოს 5—7 საათ. მიხეილის ქ. სახლი ოდამოვისა № 111, (მე-2 ფლიგელი, ეზოში) საველე ტელეფონი № 43.

60—2171—12

ახალი კაბინეტი

ახალი კაბინეტიც შესდგა. 21 მარტს იგი წარსდგა დამფუძნებელი კრების წინაშე. ძველ მთავრობას და ამ ახალ მთავრობას შორის ის განსხვავებაა, რომ პირველის დროს თითო სამინისტრო თითო პირს ებარა, ეხლა კი თითო პირს ორი და სამი სამინისტრო ჩაუბარებია. მსხვერპლად შეიწირა ფედერალისტების ორი სამინისტრო: იუსტიციისა, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრმა გადაყლაპა და განათლებისა, რომელიც მინაგან საქმეთა მინისტრმა შთანთქა. ასეთივე ბედი ეწვია ერთი სოციალისტ-რევოლუციონერების სამინისტროსაც, გზათა სამინისტროს, რომელიც მიწადმოქმედების მინისტრმა შემოიღობა, ესევე მოუვიდა ამხ. ერაძის სამინისტროსაც, რომელიც იმავე გაუმაძღარმა ხომერიკმა თვისთვის გაიტანა. ვაჭრობა-მრეწველობის და ფინანსების სამინისტროს სათავეში მოექცა ბ-ნი კ. კანდელაკი, რომელიც ძველს მთავრობაში ამავე სამინისტროში მინისტრის ამხანაგის თანამდებობას ასრულებდა. ამ მომხდარ ცვლილებების გამო ახალმა კაბინეტმა მიიღო ერთფეროვანი სახე, სოციალ-დემოკრატიული.

მთავრობის სათავეში ისევ ბ. ნოე ჟორდანია დარჩა.

რას გვპირდება ახალი მთავრობა, რას უნდა მოველოდეთ ჩვენ მისგან?

ამის პასუხს მთავრობის დეკლარაცია გვაძლევს.

დაპირებების სიუხვე და განყენებული მათი შემოხაზვა აი რა ახასიათებდა ყველა ჩვენს მთავრობებს ამ რევოლიუციის დროს. საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი მთავრობაც ასევე უხვი დაპირებებით გამოვიდა. მაგრამ რა განხორციელდა? სანამ საქართველოს ზურგში ფრონტი იყო, ჩვენი ქვეყნის მეთაურები ყველა თავის მარცხს ამ ფრონტის არსებობითა და ბოლშევიკების მოსალოდნელი ამბოხებით ამართლებდნენ. ეხლა ყველა ჩვენი უბედურების მიზეზად ომებს ასახელებენ. თითქოს ისეთი ოპერაციული ომების დროს, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ, ცხოვრების ყოველ დარგში ყოველგვარი შემოქმედებით მუშაობა უნდა სწყდებოდეს, ყოველივე თავახდილი რჩებოდეს.

არც საგარეო და არც საშინაო პოლიტიკა ჰქონდა ჩვენს მთავრობას წინედ, ან დღეს გარკვეული, წინასწარ შემუშავებული და გათვალისწინებული. ყოველივე კეთდება სტიქიურად, როგორც მოგვახვევს თავზე ბრმა გარემოებათა მსვლელობა. წინასწარ შეგნება, წინასწარ მზადება, თუ შორეული არა, მახლობელ დროის მოვლენათა მაინც გაჭვრეტა და მათი ანგარიშის გაწევა, ასეთი თვისებები სრულიად არ ახასიათებს ჩვენი სოციალისტური მთავრობის მოღვაწეობას.

ავიღოთ სახელმწიფოს დაცვის საქმე, წესრიგი, სასამართლო, ქალაქების თუ ერობათა მოღვაწეობა, ფინანსები, თუ ვაჭრობა-მრეწველობა, ცხოვრების ყოველს დარგში და ნაწილში აღმოფხვრილი და აღმოკვეთილია ყოველგვარი დადებითი მუშაობა. რესპუბლიკა მხოლოდ ვალებით არსებობს და სწრაფი ნაბიჯით ფინანსიურ კატასტროფას უახლოვდება. ხალხის შრომის ნაყოფიერება შემცირდა, შექმნილი ღირებულება ვეღარ დააკმაყოფილებს ხალხის უსაჭიროეს მოთხოვნილებათ და ამას კი მთელი ერის, მთელი ქვეყნის გაღარიბება და გაღატაკება მოსდევს.

ამავე დროს ჩვენი მთავრობა ისევ ძველს დაპირებებს იმეორებს და ახალსაც გვპირდება!.. ის არ ამბობს რა გზით, რა სახსარით და რა საშვალებით გვიპირობს ამის შესრულებას. იმ ვი არ არის ძველი გზით, რევოლიუციის „ნაცადი იარაღით", რამაც ეგზომ დაშალა და დაარღვია ჩვენი ცხოვრება. ასეთია ჩვენი „ახალი" მთავრობა. ქართველ ხალხს მეტი სიფხიზლე და აქტიობა მართებს, რომ რესპუბლიკის პოლიტიკის ასეთი სიმრუდე თავის შრომით და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში შეგნებული მონაწილეობის მიღებით გაასწოროს, თორემ ცხოვრების დაშლა და დარღვევა ადვილია, ხოლო მისი დაწყობა და მტკიცე საფუძველზე დამკვიდრება გაცილებით ძნელი.

პრესსა

ქართველების და სომხების დაახლოვება.

გაზეთი „აშხატავორი" ეხება ქართველების სომხებთან დაახლოვების საკითხს და შემდეგს სწერს:

„უკვე მოშორებულია ყველა ეჭვები, რომლებიც არსებობდენ ორივე რესპუბლიკის ურთი-ერთ აღიარების გამო. საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრს 8 მარტის თარიღით შეუტყობინებია სომხეთის მთავრობისთვის, რომ თავისი მთავრობა „მტკიცეთ სდგას ერების თვითგამორკვევის პრინციპზე და სცნობს სომხეთს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს". სომხეთის პარლამენტის და მთავრობის დეპეშები საქართველოს დამფუძნებელი კრებისთვის გაგზავნილი გვეუბნებიან, რომ ასევე ეპყრობა სომხეთი საქართველოს დამოუკიდებლობას, სომეხ-ქართველთა კონფერენციის განმარტების პირველი მუხლი უფრო ნათლად და გარკვეულათ ხდის ამ საკითხს: „სომხეთის და საქართველოს წარმომადგენელნი საჭიროთ სთვლიან ოფიციალურათ დაადას ტურონ ორივე რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარება".

„ასე ისპობა ყველა პროვოკაციის შესაძლებლობა იმის შესახებ, ვითომ დაშნაკელები ანგრევენ საქართველოს დამოუკიდებლობის საფუძვლებს:

და თუ ყველა ამას დაეუმატებთ იმას, რომ თუ ქართველი და სომეხი მშრომელი ხალხის ხელმძღვანელ წრეებს შეუგნიათ, რომ თავიანთ ბედნიერება ერთობაში და ძმობაში იმყოფება (დამფუძნებელ კრების დეპეშის სიტყვები), მაშინ ჩვენ გვრჩება მხოლოდ ვიმეოროდ სომხეთის მთავრობის დეპეშებში გამოთქმული სურვილი: დაე გამაგრდეს საუკუნოთ ძვირფასი განუწყვეტელი კავშირი საქართველოსა და სომხეთის შუა, რომლების ბედნიერება და სიძლიერე, ისე განუშორებლად შეკავშირებული არიან ერთმანეთთან".

ჩვენ არ შეგვიძლია არ ავღნიშნოთ, რომ სომხების პოლიტიკურ ზოგიერთ წრეებში ხდება გადატეხა და თანდათან მკვიდრდება ნიადაგი დაახლოვების და მეგობრობის ორ-ერთა შორის. ეს დაახლოვება უთუოდ ახალ პერიოდს შეჰქმნის ამიერიდან სომეხ ქართველთა განწყობილებაში და დიდ გავლენას იქონიებს ორ რესპუბლიკთა პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ „აშხატავორი" ჭკუას სწავლობს და აგრესიულ გამოსვლებს ივიწყებს, მხოლოდ საქმემ უნდა დაამტკიცოს რამდენათ გულწრფელია მისი დღევანდელი პოზიცია.

დამფუძნებელი კრება

მე-5 სხდომა. 22 მარტი.

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

კამათი მთავრობის დეკლარაციის შესახებ.

შ. მესხიშვილის სიტყვა. (ს.-ფ.). მოქალაქენო! მთავრობის დეკლარაციიდან სჩანს, რომ მთავრობა მიზნად ისახავს ჩვენ რესპუბლიკაში დემოკრატიულ წესწყობილების განმტკიცებას. ჩვენ ამის წინააღმდეგი არაფერი გვაქვს, მაგრამ ვერ დავეთანხმებით იმ გზას, რომელსაც ისახავს მთავრობა ამ მიზნის განსახორციელებლად.

სასოფლო მეურნეობა დაეცა. კერძო ინიციატივა ბევრს ვერაფერს გააკეთებს. ბონების ბეჭდვით ფინანსიური მდგომარეობაც დაეცა. ამასთანავე გავრცელებულია სახელმწიფო ქონების გატაცება-მითვისება, რომლის მოსპობაც საჭიროა.

მთავრობამ უნდა უკუ აგდოს თაყვანის ცემა კაპიტალისა და კერძო ინიციატივის წინაშე და ფართო საშუალებანი შეგქმნათ კოლექტიური წარმოებისათვის.

აგრედვე მთავრობამ რადიკალურად უნდა შესცვალოს მიწის კანონი და უნდა მოსპოს ყიდვა გაყიდვა მიწაზე. ყველა ამით მე იმის თქმა არ მინდა, რომ დღესვე სოციალიზმი განვახორციელოდ, არამედ ის, რომ ჩვენი ხალხი სოციალისტურ წყობილებისათვის მოვამზადოთ და, როდესაც ევროპაში სოციალისტური გარდატრიალება მოხდება, საქართველოსთვის მოულოდნელი არ იყოს.

შემდეგ ორატორი კითხულობს სოც.-ფედ. დეკლარაციას. საქართველოს დამფუძნებელ კრებამ უნდა დააგვირგვინოს საქართველოს თავისუფლება. ეს რევოლიუციამ მოგვცა და ამიტომ რევოლიუციის 1 დღე დიდ-მნიშვნელოვან დღედ უნდა იქნას აღიარებული.

საჭიროდ მიგვაჩნია კავშირი ვიქონიოთ მეზობელ ერებთან.

ჩვენ მომსწრენი ვართ მსოფლიოს ძირითად გარდაქმნისა, ამიტომ ჩვენი პარტია მოითხოვს საქართველოს დემოკრატიამ კავშირი გააბას მსოფლიოს სოციალისტურ დემოკრატიასთან.

დამფუძნებელ კრებამ უნდა გადაეხედოს აგრარულ კანონს და მოაწყოს სოციალისტურ პრინციპზე.

საქართველოს ეკონომიურ მდგომარეობის გამოსწორება საზოგადოებრივი, საერობო საქალაქო და სახელმწიფოებრივ მეურნეობის მოწყობით შეიძლება.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ეროვნულ უმცირესობათ ჩვენში. ჩვენ რესპუბლიკის დაცვაში მთელის ჩვენი შეძლებით მთავრობასთან ვიქნებით.

სპ. კედიას სიტყვა*)

საქართველოს დამფუძნებელ კრების წევრნო! პირველად დაეპატრონა მთელი ქართველი ხალხი თავის ქვეყანას; პირველად აიღო მან თავის საკუთარ ხელში მისი მოვლა-პატრონობა, მართვა-გამგეობა. და პირველად შეადგინა უზენაესი უფლებით შემოსილი დამფუძნებელი კრება, რომელმაც უნდა დასდვას ქვეყნის ძირითადი კანონები.

ეს უმაღლესად საპატიო მოვალეობა დრომ და გარემოებამ ჩვენ დაგვაკისრა. მოვლენათა იდუმალობამ ისტორიულ ღირებულებად გადაგვაქცია, ამ ახალ ხანას თაობები რომანტიულის სიხარბით ჩააცქერდებიან. და მუნ იპოვიან თავიანთი ულევი შემოქმედების დასაბამს. ჩვენს საქმეს ისტორია უყურებს და წაიკითხავს. სწორედ ამიტომ ჩვენ თავისუფალნი ვერ ვიქნებით ჩვენს მოქმედებაში. ისტორიამ ვერ უნდა გვითხრას, საქართველოს ვერ გაუძღვა მთელი ხალხი, საქართველო ვერ წაიყვანა კეთილის გზით დამფუძნებელმა კრებამ. მთელმა ხალხმა ვერ გააკეთა, რასაც ათას წლების განმავლობაში ერთი მებრძანებელი, ერთი წოდება აკეთებდაო. ვეცადოთ, ეს განჩინება ისტორიას არ გამოვატანინოთ.

საქართველოს მარადიულს მიმდინარეობაში, ჩვენ მხოლოდ ღა ერთი წა-

*) სიტყვის სრული სტენოგრამა შემდგომ დაიბეჭდება.

100

უკანასკნელი ცნობები

ამ დღეებში ყუბანში გაემგზავრება საქართველოს დიპლომატიური მისია ალექსანდრე მდივანის მეთაურობით.

ოსმალეთის ახალ კაბინეტში შედის ორი ქართველი მარშალი შაქირ-ფაშა—საზღვაო მინისტრი და გენ. ავნი-ფაშა ლორთქიფანიძე—საზოგადო სამუშაოთა მინისტრი.

ჰუნგრეთში პროლეტარიატის დიქტატურა გამოცხადდა. მოკავშირეთა კომისიები პუდაპეშტს ჰსტოვებენ. კაროლიის კაბინეტი გადადგა.

ჰუნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკა რუსეთის საბჭოთა მთავრობას წინადადებას აძლევს, თვდაცვითი და შემტევი კავშირი შეჰკრან.

გალიციაში დიდი აჯანყებაა. გალიციის ზოგიერთ ქალაქებში საბჭოები დაარსდა. მკამბოზეთა დასაწყნარებლად გაგზავნილი ჯარი მათ მხარეზე გადავიდა.

კარა-გეორგიევიჩ ს დინასტია ჩამოაგდეს და სამხრეთ-სლავიანთა რესპუბლიკა გამოაცხადეს.

მი ვართ. ნუ ვიქნებით ავადმყოფნი და ზვიადნი: ერის უკვდავება ამ ჩვენს წამს არ მოვაკვლევინოთ. ნიშნები კი გვაქვს ამგვარის ზვიადობის.

პირველი საქმე, რომელიც დამფუძნებელ კრებას უნდა გაეკეთებინა—მთავრობის შედგენა იყო, ამ ქვეყნის მესაჭის გამოძებნა, ხალხი და დამფუძნებელი კრება მთავრობაში ხედავს ქვეყნის სიმტკიცეს და წინამძღვარს...

ეს მთავრობა უკვე წარსდგა ჩვენს წინაშე. არც ერთი მისი წევრი ჩვენთვის უცნობი არ არის. ყველა ამ პირს ჩვენ საქაროველოს პარლამენტის მთავრობაში ვხედავდით, მთელი ათი თვე მეთაურობდნენ და მართავდნენ დამოუკიდებელ საქართველოს. ფაკტებით აღბეჭდილია მათი გავლილი მოღვაწეობა და ყველაფრის დაფასებაც შეიძლება.

14 მარტს ამ ხალხმა ჩაგვაბარა მათი მოქმედების ანგარიში. 21 მარტს დაგვიხატა მომავლის პროგრამა.

სასწაული არ ხდება და ეს ხალხი 22 მარტს აქეთ იგივე დარჩება, რაც 22 მარტს იყო. არ შეცვლილა არც ის ობიექტიური გარემოება რომელშიც იგი მოქმედებდა. ამ მთავრობაში არ შესულა ახალი ელემენტი, არც როგორც ცალკე პიროვნება და არც როგორც პსიხოლოგიური მოტივი. ამიტომაც, ამ მთავრობის მომავლის გამოცნობა, მისი წარსულის ანალიზით შეიძლება.

მთავრობა გამოსაცნობი ღირებულება არ არის ჩვენთვის. ამიტომაც, მთავრობის მიმართ იმედებსა და ილუზიებსაც ვერ მივეცემით, ამის დიდი სურვილიც რომ გვქონდეს.

თუ გვინდა ვიცოდეთ რა იქნება ეს მთავრობა მომავალში, გავიხსენოთ, რა იყო წარსულში.

საქართველოს დამოუკიდებლობა, საიდანაც დაიწყო ჩვენი ქვეყნის ახალი ისტორია და იწყება ჩვენი მთავრობის არსებობაც, მოხდა წინააღმდეგ იმ პოლიტიკისა, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში აწარმოებდნენ ჩვენი მთავრობის პირნი. ესენი იდეოლოგიურადაც ებრძოდნენ საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ იდეას და საქმითაც. მთავრობის თავმჯდომარე არ მალავს ამას და ამბობს: დამოუკიდებლობის გამოცხადება მოახვიეს საქართველოს გარეშე მდგომ ძალების ზეგავლენით, მისი საგარეო საქმეთა მსვლელობის პროცესშიო. ეს ისტორიამ უნდა დაიხსომოს. აი რა ხალხი მოექცა სათავეში უკვე დამოუკიდებელ საქართველოს და ვის უნდა აღეგო მისი სახელმწიფოებრივი შენება. პსიხოლოგიურად მოუმზადებელი ეროვნულ სახელმწიფოებრივ პოლიტიკისთვის, რომელიც შინ და გარეთ უაღრეს კომპრომისობას მოითხოვს, იგი ხალხი ბუნებრივათ დაადგა თანშეზელილ კლასობრივ ბრძოლას და საზოგადოების ნაწილებ შორის მძულვარება—შეურიგებლობის თესვას. ფართო ეროვნულ სახელმწიფოებრივ პოლიტიკის წილ, ნამდვილ ბურჟუაზიულ დემოკრატიულ შემოქმედების წილ, იგი აჰყვა და სულდგმულობდა რევოლუციურ სოციალიზმით. შედეგათ მივიღეთ: პირველი: ყველა ჩვენი ქვეყნის განაპირებში საქართველოს საწინააღმდეგო აჯანყებები. ოლქები სოხუმისა, ბათომისა და ზაქათალასი, მაზრები ახალციხე ახალქალაქის და ბორჩალოსი ამის ცოცხალი სურათებია. მეორე: საქართველოს იზოლაცია მეზობელ ახალ სახელმწიფოებისაგან: მთა—აზერბაიჯან-სომხეთისაგან. ჩვენი მთავრობის კურსმა არ დაიმეგობრა ეს სახელმწიფონი, რომელთა პოლიტიკა არ იყო რევოლუციურ სოციალიზმის პოლიტიკა, და მესამე: მერყეობა ერთის მხრით მებრძოლ ანტი-სახელმწიფოებრივ ინტერნაციონალიზმსა და მეორეს მხრით ბურჟუაზიულ დემოკრატიულ სახელმწიფოებრივ შემოქმედების შორის; ვერ აურჩევიათ, თუ საითკენ აიღონ გეზი, მოსკოვის პრინციპებისკენ თუ პარიზის პრინციპებისკენ. სხვა მისაყრდნობი ცენტრი დღეს არ არის. მოსკოვის ცენტრისადმი ფრაქციულ სიძულვილის გვერდით პრინციპიული ნათესაობა და სიყვარულია, პარიზის ცენტრისადმი—მარტო პრინციპიული მძულვარება. აქედან წარმოსდგება ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის სიყალბე. ძნელდება იდეოლოგიური დანათესავება საქართველოსი და ანტანტისა. ბრკოლდება ჩვენი სახელმწიფოებრივი კონსოლიდაცია.

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, რომელიც უცხო იყო ჩვენი მთავრობისთვის, უწინარეს ყოვლისა რეალური ძალის შექმნას მოითხოვდა, მუდმივ ჯარს, მშვიდობიან პოლიტიკის წარმოებასთან ერთად. ამას გვასწავლის ყველა სახელმწიფოს პრაქტიკა.

რევოლიუციურ სოციალიზმის ინტერნაციონალური პოლიტიკა, რომელიც ჩვენს მთავრობას ამოძრავებს, მოითხოვს საერთაშორისო განიარაღებას. ჩვენი მთავრობა ამ იდეის მატარებელია იმ თვიდან.

რასაკვირველია, ჯარის მოსპობის მოციქული შემომქმედ რწმენას და სიყვარულს ვერ გამოიჩენდა ჯარის საქმეში. და აკი ვერც შეგვიქნია ჩვენი მდგომარეობის შესაფერი ჯარი. უნდობლობის ატმოსფერაში ასეთი ცოცხალი საქმე ვერ იხეირებს. ჯარის წინ მთავრობის უმთავრეს იარაღად საერთაშორისო სოლიდარობის ფრაზეოლოგია გადაიქცა. ამავე დროს მეზობლები ძველ ნაცად გზას ადგნენ. რა მოგვცა მთავრობის მოქმედების ხაზმა? ბორჩალოს მაზრა, რომელიც საქართველოს უდავო ტერიტორია იყო, თვით იმავე მთავრობის აღსარებით, ნაწილი დაკარგეთ და ნაწილი სადაოთ გადაიქცა. ამის აქტზე საკუთარის ხელით მთავრობას ხელი უწერია. ცისა და ქვეყნის საბუთი ამტკიცებს, რომ ეს მთავრობის სიბეცის შედეგია. საქართველოს ეს უბედურება არ მოუვიდოდა, რომ ღირსეული მთავრობა ჰყოლოდა და დროზე ზომები მიეღებული ყოფილიყო. იგი შერჩა სოლიდარობის ფრაზეოლოგიას მაშინ, როდესაც მტრის შეიარაღებული ძალები თბილისისკენ მოიწევდნენ. ზაქათალის ოლქის ამ ხნობით ჩამოშორებაც მთავრობის საერთო პოლიტიკის შედეგია. ამგვარად მთავრობის სახელმძღვანელო პრინციპებმა, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურად საქართველოს ორგანიული ნაწილები დაგვიკარგა და საგარეო მდგომარეობა ვერ განგვიმტკიცა.

ეხლა ვნახოთ, თუ რა იყო მთავრობა წმინდა შინაურ შემოქმედებაში.

ქვეყანას ცხოვრება არ შეუძლიან, გარეშე უფლებრივ ნორმების სიმტკიცისა. ძველის ნანგრევებზე, უფლების ახალი სიმტკიცენი ვერ ააგო. მთავრობის ყოველ დეკლარაციაში ერთი კლასის ბატონობაზეა ლაპარაკი და ნამდვილი უფლებრივი თანასწორობა წარხოცილია. სასამართლო დამოუკიდებლობის სიმაღლეზე ვერ ავიდა, იგი ქვეშ მოექცა ადმინისტრაციას. არჩევის წესის წყალობით მოსამართლეთა შორის მოჰყვა ბევრი უღირსი და ზოგჯერ დამნაშავე ელემენტიც და კანტროლი არა სჩანს. ამ ორ მომენტით იწყება სამართლის გახრწნა, რასაც თან მოაქვს საზოგადოებრივი ცხოვრების დაშლა.

ადმინისტრაცია აქამდის ვერ მოგვარდა. იგი ნაკლებად წარმოადგენს სახელმწიფო წესიერების დამცველ ძალას.

საკუთრების გაუქმების და განაწილების იდეოლოგიაზედ აღზრდილი მთავრობა, აშკარაა, ვერავითარ შემოქმედებას ვერ გამოიჩენდა ნორჩი სახელმწიფოს ეკონომიურ აღორძინებაში. ძველი წყობილებიდან დარჩენილი მრავალი ასეული მილიონის ქონება მცირეოდენი ნაწილის გარდა, მოუვლელობით გაიფლანგა და დაკარგა. ამას გარდა შვიდი თვით მართვა-გამგეობაში ჩვენს რესპუბლიკას 260 მილიონი ვალი დაედო.

მიმდინარე წლის განმავლობაში ჩვენი მოავრობა ერთი ორად მეტი ვალის აღებას ვარაუდობს. მთავრობის საფინანსო და საეკონომიო პოლიტიკის წყალობით, ფულის ფასი საშინლად დაეცა, და ეს პროცესი შეუჩერებლივ გრძელდება. გასაგებია, ასეთ პირობებში, ცხოვრების საზღაპრო გაძვირება.

სახელმწიფო ბიუჯეტის სისაღე დამოკიდებულია მთელ ნაციონალურ მეურნეობის ჯამზე. და სწორი ბიუჯეტის შესაქმნელად მთავრობა უნდა ცდილიყო: სასოფლო მეურნეობის, ვაჭრობა-მრეწველობის და ყოველგვარ ეკონომიურ საქმიანობის დაცვას და აღორძინებას. ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მთავრობა დადგებოდა თანამედროვე ბურჟუაზიულ-ეკონომიურ ურთიერობის საფუძველზე. მთავრობამ დღემდე ამის გარანტია ვერ მისცა ქვეყანას.

აგრარული პრობლემა გადასჭრა წართმევის წესით და არა ისე, როგორც კულტურულ ქვეყნებში შეუმუშავებიათ.

ამან გაანადგურა არსებული კულტურული მეურნეობა და არია საერთო სოფლის ეკონომიური ცხოვრება.

ვაჭრობა-მრეწველობა, ჩვენი ეკონომიური ცხოვრების ეს მეორე დარგი მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია, წესიერი ეკონომიური შემოქმედება შეუძლებელი გახდა.

მრეწველობა და ვაჭრობა არამც თუ არ აღორძინდა თავისუფლების ხანაში, არამედ სრულიად დაეცა. მუშათა საკითხის დღევანდელი მდგომარეობა შეუძლებლად ხდის ჩვენში რაიმე წარმოების გაჩაღებას. მთავრობა არ ცდილა შრომის საქმის ისე მოგვარებას, რომ წარმოება არ დაეზარალებინა. აღებ-მიცემობის საოცარი შებორკვა და შევიწროება გრძელდება. ამ ნიადაგზე ისპობა წესიერი ვაჭრობა და ფეხს იკიდებს სპეკულიაცია.

შრომის ნაყოფიერების საშინელი შემცირება საფრთხეს უმზადებს ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებას და სახელმწიფოს არსებობას.

შრომის საკითხის დღევანდელი მდგომარეობა დამღუპველია ჩვენი ეკონომიური ურთიერთობისათვის. პროფესიონალურ კავშირთა განუსაზღვრელი უფლებები, მათი მუდმივი ჩარევა წარმოებათა ადმინისტრატიულ უფლებებში ღუპავს ჩვენს ღარიბ მრეწველობას და მთლად ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებას. სოციალისტური მთავრობა კი ამის წინააღმდეგ არაფერ ზომებს არ ღებულობს.

მიუხედავად ხალხში დიდძალი ფულის დაგროვებისა, საკრედიტო დაწესებულებანი საშინელს კრიზისს განიცდიან. ხალხს აღარ შეაქვს ფულები ბანკებში, ვინაიდან ის არ ენდობა დღევანდელს პოლიტიკას, არ არის დარწმუნებული, რომ მტაცებლობის პოლიტიკა ფულის თანხებსაც არ შეეხება.

და ეკონომიური ცხოვრების ყველა ეს პირობები ჩვენს ქვეყანას უფსკრულისაკენ მიაქანებს. ყოველივე ამას სულ სხვა გვარი მუშაობა სჭირია და სოციალისტური პოლიტიკით ვერ გამოვასწორებთ.

თუ მთავრობას სურს ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება, მან ნდობა უნდა მოიპოვოს სოფლის და ქალაქის იმ მწარმოებელთა შორის, რომელიც სახალხო სიმდიდრეს ქმნის. მან გარანტია უნდა მისცეს ხალხს, რომ მათი შრომისა და გარჯის ნაყოფი, ხელუხლებელი იქნება და მათს საკუთრებაში დარჩება. მთავრობა კი თავის დეკლარაციით საჭიროდაც არ სთვლის უთხრას ხალხს, რომ მისი ნაშრომი და ნამოღვაწარი მას დარჩება.

როგორი უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება მთავრობასთან. მთავრობის პოლიტიკა გაგრძელებაა წინა პოლიტიკისა, ეს კი საკვლია შეცდომებთა, ამიტომ ჩვენ მთავრობას ნდობას ვერ მივსცემთ მომავალ მოქმედებაში.

არის ერთი საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობა. აქ ჩვენ მთელის ჩვენის ძალ-ღონით მთავრობასთან ვიქნებით.

დანარჩენი საკითხები კი გარდაქმნას თხოულობენ, რამდენად ეს ამას შესძლებს, იმდენად ახლო იქნება ცხოვრებასთან.

ამით ვათავებ მე და მინდა ვუსურვო მთავრობასა და დამფუძნებელ კრებას ეხმაროს ის ზომები საქართველოს სახელმწიფოს განმტკიცებისათვის, რომელნიც საუკუნოებით არის შექმნილი.

—

შენგელაია (ს.-რ.) მიუთითითებს მთავრობის შეცდომებს და ამბობს, რომ მიუხედავად იმისა, რომ საჭიროდ ვსცანით რეგულიარული ჯარი მთავრობამ ის მაინც ვერ შექმნა და ამიტომ თითქმის ყველა ომებში დავმარცხდითო. გამოსთქვამს აგრეთვე აზრს სასამართლოს უვარგისობის შესახებ. მოითხოვს სიკვდილით დასჯის მოსპობას.

არდგენს ს.-რევ. დეკლარაციას, რომელიც არ ეთანხმება მთავრობის დეკლარაციას და მოითხოვს სოციალისტურ რეფორმებს

(დასასრული იქნება)

ქართველები ოსმალეთის ახალ კაბინეთში

თბილისში უკანასკნელად მიღებულ სტამბოლის ფრანგულ გაზეთ „stambol"-ში მოყვანილია შემადგენლობა ოსმალეთის ახალ კაბინეტისა, რომელშიაც 2 ქართველი მაჰმადიანია. კაბინეტის შემადგენლობა ასეთია: დამად, ფერიდ-ფაშა—დიდი ვეზირი საბრი-ეფენდი—შეიხ ულ ისლამი გენერალი აბულ ფაშა (ჩერქეზი)—სამხედრო მინისტრი, მარშალი შაქიან-ფაშა (ქართველი, მარადიდელი)—საზღვაო მინისტრი. ჯემალ ბეი—შინაგან საქმეთა მინისტრი. თევფიქ-ბეი—ფინანსთა მინისტრი. ისმაილ-სიდკი-ბეი—იუსტიციის მინისტრი. აბდულ-ყადილ-ეფენდი, სენატორი—სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე. ალი, ჯემალ-ბეი—განათლების მინისტრი გენ. ავნი-ფაშა ლორთქიფანიძე, (ქართველი)—საზოგადო სამუშაოთა მინისტრი. ედჰემ-ბეი—კომერციის (ვაჭრობის) მინისტრი, მემედ-ალი-ბეი—ფოსტის მინისტრი.

ქართველ ჯარეგის შესვლა არტაანის რაიონში

ადგილობრივ გაზეთებში იყო მოთავსებული სამხედრო ცნობა, რომ ბრიტანეთის სარდლობას შეუძლებლად მიაჩნია საქართველოს ჯარის წინ სვლა არტაანის არეში.

17 მარტს საქართველოს მთავრობამ თბილისში აცნობა ბრიტანიის სამხედრო მისსიას, საქართველოს ჯარის შესვლის აუცილებლობა ფოცხოვის რაიონში, სადაც იმყოფებიან საქართველოს მოწინააღმდეგე ბანდები. მთავრობამ წინადადება წამოაყენა, რათა არჩეულიყო შერეული კომისია საქართველოს წარმომადგენელთაგან და ინგლისის მისსის მონაწილეობით დროებითი საზღვრების გამოსარკვევად ახალციხის მაზრის და არტაანის რაიონის შორის.

19 მარტს ბრიტანეთის სამხედრო მისსიამ აცნობა მთავრობას რომ ის თანახმაა შერეულ კომისის შედგენაზე ბრიტანეთის ოფიცერის თავმჯდომარეობით; ამასთანავე ერთად მისსიამ შეატყობინა, რომ საქართველოს ჯარების წინ სვლა არტაანის ტერიტორიის მიმართ გამართლებული უნდა იყოს, რადგანაც იგი იყო აუცილებელი თავდაცვა საქართველოს მხრივ. უაზრობისა და უთანხმობის თავიდან ასაცილებლად მისსიამ სავალდებულოდ ჰსცნო საქართველოს ჯარებთან ერთად არტაანის ოლქში წარმომადგენლად გაეგზავნა პოლკოვნიკი სტუარტი.

ოსმალეთის მომავალი

კონსტანტინოპოლის გაზეთ „stambol"-ის 4 მარტის № ში მოყვანილია რეიტერის სააგენტოს პარიზელი კორესპოდენტის დეპეშა, რომელშიც იგი, სანდო წყაროდან იტყობინება, რომ ბერძენთა საკითხის შესახებ არჩეულ კომისიას ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა იმ მდგომარეობის შესახებ, რომელიც უნდა შეიქმნას მცირე აზიაში.

ოსმალეთის იმპერიის შესახებ მიღებულ გეგმას აზრად აქვს კონსტანტინოპოლის და სრუტეების ინტერნაციონალიზაცია და შექმნა თურქულ სახელმწიფოსი მცირე აზიის შუაგულში.

საქართველოს დიპლომატიური მისია უუბანში.

რამოდენიმე დღის წინედ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ დეპეშით აცნობა ყუბანის მთავრობას რომ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლად ყუბანში, განზრახულია სიმონ მდივნის დანიშვნა.

გუშინ საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-მა ა. გეგეჭკორმა შემდეგი რადიოგრამა მიიღო ყუბანის მთავრობის თავმჯდომარისგან.

„თქვენი დეპეშები 1419, 1518 და 1804 №-ით მივიღეთ. მდივანის ჩამოსვლისათვის დაბრკოლება არ არის.

მთავრობის თავმჯდომარე **სუშკოვი**".

სიმონ მდივნის ნაცვლად, როგორც ამბობენ, ყუბანში ამ დღეები გაემგზავრება დიპლომატიური მისია, განათლების მინისტრის ყოფილ ამხანაგის ალექსანდრე მდივანის მეთაურობით.

ქალაქის მოსამსახურეთა გაფიცვის შესახებ.

მოსამსახურეთა კრება

კვირას, 23 მარტს სახალხო სახლში შესდგა ქალაქის მოსამსახურეთა კრება. გაირჩა მოსამსახურეთა ჯამაგირებით დაკმაყოფილების საკითხი. დაესწრნენ მთავრობის წარმომადგენელნი ქალაქის გამგეობისა და სხ.

დიდიხნის კამათის შემდეგ უმრავლესობის სურვილით დაადგინეს გამოაცხადონ გაფიცვა 24 მარტს, სალამოს 6 საათიდან. გაფიცვის წინააღმდეგნი იყვნენ ტრამვაისა, სასაკლაოსი. ფურნეებისა და წყალ-სადენის მოსამსახურენი.

ქრონიკა

◆ **ინგლისის მატარებლის გაძარცვა.** შინაგან საქმეთა მინისტრმა დეპეშა მიიღო ხაშურიდან რომ იქ გაძარცვეს ინგლისის საბარგო მატარებელი. მინისტრმა საგანგებო რაზმის უფროსის თანაშემწე ფაჩულია გაგზავნა, უკანასკნელმა გამოძიება მოახდინა და დააპატიმრა სად. ხაშურ ბორჯომის უფროსი. იმნაიშვილი მისი თანაშემწე თევდორაშვილი, უფროსი მილიციონერი ნაცვალაშვილი და სხ. დაპატიმრებულნი ჩამოიყვანეს თბილისში და საგუბერნიო ციხეში მოათავსეს. საქონელი საგანგებთ რაზმის საწყობში მოათავსეს.

◆ **ფინანსთა მინისტრის გამოსალმება.** 22 მარტს ფინანსთა მინისტრ ჟურულმა გამოსათხოვარ სიტყვით მიჰმართა სამინისტროს მოსამსახურეთ. მინისტრს სიტყვით მიჰმართა ფინანსთა ახალ მინისტრ კანდელაკმა და კანცელარიის დირექ. ჰანტურიშვილმა.

◆ **სახელმწიფო მოსამსახურეთა კრება.** კვირას 23 მარტს შესდგა სახელმწიფო მოსამსახურეთა კრება, რომელზედაც ირჩეოდა საკითხი ჯამაგირების მომატების შესახებ: კრებაორშაბათისთვის გადაიდო.

◆ **თავდასხმა.** 23 მარტს პრიუტის ქუჩაზე № 3 სახლში მცხოვ. სტეფანიანცის ბინაზე შეიჭრნენ რამოდენიმე შეიარაღებული პირნი და მოსტაცეს ფული და ნივთეული 900,000 მანეთის ლირებულებისა.

◆ **ბოროტმოქმედება.** შვიდ მარტს ელისაბედის ქ. № 90, კონიაკის საწყობის პატრონ ავსარკისოვის არყ ყოფნის დროს შევიდენ უცნობნი და ჯარის საჭიროებისათვის 5 ყუთ კონიაკს რეკვიზიცია უყვეს. ფულის მისაღებად დაიბარეს სახალხო გვნრდიის მთავარ შტაბში. შტაბში გამოცხადების შემდეგ ყველაფერი გამოირკვა. მილიცია შეუდგა საქმის გამორკვევას და აღმოაჩინა, რომ კონიაკი მიუყიდიათ გასტრონომიულ მაღაზიის პატრონ ალ. გრიგორიანცისათვის ათი ათას მანეთად. კონიაკი გრიგორიანცს წაართვეს და ჩაბარეს ავსარკისოვს. დაიჭირეს ივ. ხახაშვილი, რომელიც დამნაშავობაში გამოტყდა

◆ **მკვლელობა.** 23 მარტს, დღის 3 საათზე, ფალავანდოვის ქუჩაზე მცხოვრებ გრ. სიონოხიანცმა გამოათრია თავისი ქალი ქუჩაზე, დაჭკლა დანით და გაიქცა.

◆ **თვითმკვლელობა.** 22 მარტს დილის 10 საათზე რევოლვერით თავი მოიკლა პრაპ. ს. თარგამაძემ. მოკლული არამიანცის საავადმყოფოში წაიღეს.

◆ **ეკლესიის გაძარცვა.** 22 მარ. დღის 1 საათზე გაძარცვეს მამადავითის ისტორიული ეკლესია. გატანილია ძვირფასი ... რამოდენიმე ათას მანეთის ლ...

◆ **ჟურდობა.** 23 მარტის ... ბოროტგანმზრახველებმა სასტუ... „ედემიდან" 60.000 მან. ... ნივთები მოიპარეს.

◆ **გ. ქიქოძის წიგნი.** იბეჭდება ... მოკლე ხანში გამოვა გ. ქიქოძის ... ლიტიკური და ლიტერატურული ... რილების კრებული".

სოფლებში

სომხეთის ყარაბახის მმართველობ... პროექტი

(წარდგენილია ყარაბახის სომხეთ... ნაციონალურ საბჭოში).

1. საბავო კონფერენციაზე ყარა... ხის სომხეთის ნაწილში შემდეგი მმ... თველობა იქნება დამყარებული.

შენიშვნა 1. ყარაბაღის სომ... თის ნაწილში ითვლება მთიანი ... შის ადგილი, ყართაღლის, ჯე... შირის და განჯის მაზრები, ეს ... გილი დასახლებულია სომეხთა მცხ... ვრებლებით.

შენიშვნა 2. ზანგეზურის ... რას საგანგებო მმართველობა აქვ...

2. მმართველობა იქნება საო... საბჭოს ხელში, რომლის რეზიდენ... შუშაში იმყოფება.

3. საბჭო შესდგა 7 სომხებისა... (1 ქალაქებიდან, 1 ხაჩენიდან, 2 ... რანდიდან, 1 ჯევანშირიდან და 1 ... ნჯის მაზრიდან და სამი მაჰმადიან... განან, 1 ქალაქებიდან და 2 მაზრ... დან.

შენიშვნა 1. განსაკუთრებ... თანხმობით საბჭოს შეუძლიან თ... წარმომადგენელი დანიშნოს აზერ... იჯანის და სომხეთის რისპუბლ... დან.

4. ბრიტანეთის მისიის შუშაში ... ვლება ex oilicio საბჭოს თავმჯდომ... რედ.

5. ბრიტანეთის წარმომადგენ... შეუძლიან საბჭოს მოღვაწეობის კ... ტროლი გაუწიოს.

6. საბჭოს თავმჯდომარის ამხანა... ირჩევა საბჭოს მიერ.

7. საბჭო ნიშნავს პირებს თანამდ... ბობაზე.

8. ადმინისტრატიული საქმეები ... და სწარმოებდეს საერთო რუსეთ... კანონებით და დროებით მთავრობ... კანონების ხელმძღვანელობითა.

9. საბჭო მისიის ნებადართვით ... მოსცემს დასამთავრებელ წინადად... ბებს.

10. ორივე მხარე (თათრები და სო... მხები) ვალდებულია თავიანთი ჯარ... გადაყვან-გადმოყვანა მოხდეს მისი... თანხმობით და უნდა მის მიხედვ... ჯარები წაწეულ იქმნეს ყოფილ ხაზ... სადაც იდგნენ მისიის პირველად ჩ... მოსვლამდე.

მთავარ მნიშვნელოვან სტრატეგი... ულ ადგილებზე უნდა ინგლისის ჯ... რის ნაწილები და პიკეტები იდგნ... ნეიტრალურ ზონაში მისია არკვევ... ჯარის რაოდენობის რიცხვს.

11. ადმინისტრატიულ ხარჯები... ჩაქრობა ბეგარით და გადასახადი... უნდა მოხდეს. თუ ვინიცობაა ეს ხარ... ჯები ვერ ჩააქრეს, მაშინ საბჭო იღებ... ყოველგვარ საშუალებას. სესხის სახი... თაც კი.

12) ამ პროექტის შემუშავებას საბ... ჭო ხელმძღვანელობს მისსიის თვალ... საზრისით.

ქურთები შუშაში.

8 მარტს პამაბოეკ-სულთანოვის თავ... მჯდომარეობით შუშაში ბევრი ქურ... თები ჩასულან.

ნურის მაზრის ლტოლვილთა დახ... მარება.

აზერბაიჯანის მთავრობას ნუხის მაზრის კომისსრის განკარგულებაში გადაუცია 18,000 მან. სომეხთა ლტოლვილთა დასახმარებლად.

ერთი მილიონი მანეთი ბაქოს ლტოლვილთა დასახმარებლად.

ამერიკის კომიტეტს ბაქოს ლტოლვილთათვის ქალაქ ბაქოში გადმოუგზავნია ერთი მილიონი მანეთი, კომიტეტის თავჯდომარე ოლმერი გუშინ ბაქოში გაემგზავრა. ორი კომიტეტის წევრი ამავე მიზნით გაემგზავრნენ ერევანში.

სომხების სამხედრო ტყვეები თბილისში.

„მშაკი" იტყობინება რომ ამ დღეებში ავსტრია ჰუნგრეთიდან და გერმანიიდან ჩამოსულან სომეხთა სამხედრო ტყვეები. გზაზე იმედი ჰქონდათ რომ თბილისის სომხობა დიდი პატივით მიიღებენ მათ მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. ისინი ირწმუნებიან რომ რუსეთის საბჭოთა მთავრობა გაცილებით კარგად ეპყრობოდა. აძლევდნენ საკმაოდ თეთრ პურს, ჩაის, შაქარს, ფულს და სხვ. მოხალისენი სამშობლოში დაბრუნებისას ხელს უშლიდნენ და დაჟინებით ურჩევდნენ მათ არმიაში ჩაწერილიყვნენ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

24 მარტი.

ბოლშევიკური ცნობები.

უმერინკა მარ. 23. ცნობაა. გალიციაში აჯანყების შესახებ. იუწყებიან. რომ ჯარში რომელიც აჯანყებულთა დასაწყნარებლათ გაიგზავნა, მათ მხარეზე გადავიდა სტანისლოვოვში აჯანყებულებმა გალიციის რადას მეთაური გოლუბოვიჩი დააპატიმრეს. გალიციის ზოგიერთ ქალაქებში საბჭოები დაარსდა, დოროგოვიჩში, ებრესავში და მახლობელ ადგილებში ნავთის სამრეწველოს მუშებმა მუშათა საბჭოები დაარსეს. ნავთის სამრეწველოების აჯანყებულ მუშებს შეუერთდენ მარილის მაღაროების მუშები. ჯარი, რომელიც მათ დასამშვიდებლათ გაიგზავნა მათ მხარეზე გადავიდა.

რიგა. მარ. 22. რიგის რაიონის დაცვის რევოლიუციონურმა საბჭომ წინადადება მისცა სამრეწველო კავშირებს ქალაქ რიგის დასაცავად თავის წევრთა წრიდან გამოყოს თითო ამხანაგი ყოველ 50 მუშისაგან.

უიტომირი. მარ. 21. საბჭოს საერთო კრებამ ნდობა გამოუცხადა რევოლიუციონურ კომიტეტს და მისი რწმუნებულების ვადა გააგრძელა ახალ არჩევნებამდე რომელიც 25 მარტს დასრულდება. ბუნდის პარტიაში განხეთქილება მოხდა. უმეტესობამ დაარსა კომუნისტური ბუნდი.

დვინსკი. მარ. 22. ლატვიის ფრონტზე ლატიშელთა წითელი ნაწილები შეტევაზე გადავიდენ.

რიგა. მარ. 22. სამხედრო ცნობა. მარიენბურგის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ნიუვიკარი-კიულმა-დირე-სიმუნმუნა და წინ მიიწევს. პეჩორის რაიონში ჩვენ დავაზიანეთ მოწინააღმდეგის ჯავშნიანი მატარებელი. ვალკის მიმართულებით ლატიშელთა წითელმა ჯარმა სამი საათის ბრძოლის შემდეგ სადგური ტუვოლა დაიჭირა.

კიევი. მარ. 22. ჟმერინის მიმართულებით წითელი ჯარი შეუერთდა აჯანყებულებს, რომლებმაც მოგილოვ-პოდოლსკი დაიჭირეს. წითელი ჯარი ჩრდილოეთ მესარაბიაში შეუერთდა რუმინელთა წინააღმდეგ. აჯანყებულებმა სოფ, ხალეშჩის და სად. ბისკოტოკ ილკოვკა დემოდოვკა და მოგილიევკის დაპერის დროს წითელმა ჯარმა 300 კაცი წამოიყვანა ტყვეთ.

ვოლოჩისკის მიმართულებით ქალაქი ლეტიჩევი დაიპირეს. დასავლეთის ფრონტი მკოვის რაიონში, პეჩორის მიმართულებით მოწინააღმდეგეს იერიშები მოვიგერიეთ მარიენბურგის მიმართულებით ლატიშელთა წითელი ნაწილების მამაცური თავდასხმით შეიჭრენ ტუკუმში და მოწინააღმდეგის აეროპლანები და ტყვიის მფრქვეველები დააზიანეს. მიტავის მიმართულებით ლატიშელთა წითელმა ნაწილებმა ბრძოლით დაიპირეს მიტავის საბარგო დი სამგზავრო სადგურები. პონევეჟის მიმართულებით ლატიშელთა წითელი არმია შეტევაზე გადავიდა და პონევეჟის სამხრეთით ახალი პოზიცია დაიპირა. მოზინის რაიონში ობრუჩის მიმართულებით ბელორუს-ლიტოვის წითელმა ჯარმა დაიპირა სადგური დერეჟეკი. სამხრეთის ფრონტი. დონეცის რაიონში ლუგანის სამხრეთ დასავლეთით ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს. სადგურ კოლპაკოვკას სამხრეთით მათ რამოდენიმე სოფ. დაიპირეს. ველიკოკნიაჟის მიმართულებით მოწინააღმდეგე მდ. მანიჩეს. კენ განიდევნეთ. აღმოსავლეთის ფრონტი. სტერლიტამაკის რაიონში ურტაზიმის მიმართულებით ვერიხნე-ურალათნ მოტანილი მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

მოსკოვი. უფის რაიონში, უფიდან 45 ვერსის მანძილზე ჩვენმა ჯარმა ბელიბეის რკ. გზის დასავლეთით დაიპირა. დემკულის ტბასთან აღმოაჩინეს, რომ მტერი ფრთას უვლიდა. სარატოველის რაიონში, კრასნოუფის რკინის გზასთან ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა. ოსინის რაიონში მტრის იერიშები მოვიგერიეთ. პერმის რაიონში, რკინის გზის ჩრდილოეთით მოწინააღმდეგემ შემოგვიტია მაგრამ უკუ ვაქციეთ. იზვის დასაწყისში მოწინააღმდეგემ რამოდენიმე სოფელი დაიჭირა, კოდიმბარკის სამხრეთ დასავლეთით.

კიევი, მარტის 22. ლვოვში დაარსდა არალეგალური საბჭო მუშათა დეპუტატებისა, რომელმაც საერთო გაფიცვები გამოაცხადა. ქალაქ ველიჩკოს ქვანახშირის მაღაროებში დაარსა საბჭო, რომელიც პოლონელთა ლეგიონერებმა დაშალა. გალიციის მარილის სამრეწველოების აჯანყებული მუშები კალუჟიდან სტანისლავიკენ გაემართენ და ქალაქი დაიპირეს. რევოლიუციონური მოძრაობა სტანისლავოვიდან მაზრებსაც მოედო. აჯანყებულებმა გალიციის სეიმიკებს,

ჩვენი გაზეთის კანტორასთან დაარსდა „საქართველოს ლოს“ რედაქციის ფონდი. დაეხმარეთ ფონდის გაძლიერებას.

რომელიც დირექტორიას იცავს, გაუგზავნეს ულტიმატუმი დაბრუნდეს გალიციაში და საბჭოთა მთავრობასთან ბრძოლა შესწყვიტონ.

მოსკოვი, მარ. 23. რუსეთის კომუნისტურ პარტიის მე 8 ყრილობამ ორი მესამედის უმრავლესობით მოიწონა რ. კ. პ. პოლიტიკა ტროცკის ფორმულიროვკით. მარ. 22. ყრილობამ მოისმინა ზინოვიევის და ოსინსკის მოხსენებები საორგანიზაციო საკითხზე. თეზისები პარტიულ აღმშენებლობის შესახებ ყრილობამ ერთხმად მიიღო. საბჭოთა აღმშენებლობის საკითხის შესახებ დიდი უმრავლესობით მიღებულ იქნა ზინოვიევის თეზისები და ცალკე რეზოლიუციები მუშა ქალთა და გლეხ ქალთა შორის მუშაობის და აგრეთვე რეზოლიუცია საბჭოთა პარტიულ პრესის შესახებ შემდეგ მოისმინეს კამენევის მოხსენება პროგრამის შემუშავების შესახებ, ყრილობის საპროგრამო კომისია, ყველა საკითხებში შეთანხმდა, გარდა ეროვნული საკითხისა. რომლის შესახებ წარდგენილ იყო 2 რეზოლიუცია. ყრილობამ მიიღო პროექტის ყველა მუხლები კომისიის შესწორებით და დამატებით. ეროვნულ საკითხის შესახებ მიღებული იქნა მე-7 ყრილობის კომისიის პირვანდელი რედაქცია. პროგრამა მთლიანათ და ერთხმად მიიღო ყრილობამ. სამანდატო კომისიის მოხსენებით ყრილობამ დაამტკიცა 386 მანდატი: 285 გადამწყვეტი ხმით 10150 სათათბირო ხმით. ფინანსიურ კომისიის მოხსენებით ერთხმათ დამტკიცდა ცენტრალურ კომიტეტის ანგარიში და მიიღეს წინადადება დაარსდეს მუდმივი საფინანსო კომისია, რომელიც ერთი ყრილობიდან მეორე ყრილობამდე პერიოდიულათ რევიზიას გაუკეთებს ცენტრალურ კომიტეტის ანგარიშებს.

რევოლიუცია უნგრეთში

ბოლშევიკური ცნობები

მოსკოვი, მარტის 23. (ც. ა. კ. ბ. ბიულეტენი).

მოსკოვი, მარ. 22. ამხანაგო ლენინო! აქ იმყოფება კომინისტურ პარტიის ც. კ. წევრი ერნსტ პორი. ჰუნგრეთის პროლეტარიატმა რომელმაც გუშინ ღამ ხელთ იგდო მთელი სახელმწიფოს ძალა-უფლება, პროლეტარიატის დიქტატურა გამოაცხადა. მოგესალმებით თქვენ, როგორც საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადს. გადაეცით რევოლიუციონური სალამი

ტროფოგა ნამეგული

(ისტორიული რომანი)

26.

გარეშე გარემოებებმაც ძლიერ შეუწყეს ხელი აშოტ კურაპალატს ქვეყნის განმთავნებაში თუ განმტკიცებაში. ეს ის დრო იყო მეთქი, როდესაც არაბეთიდან აღმომხდარი ახალი მთვარე მძლედ შეებრძოლა გოლგოთაზედ აღმართულ ჯვარს სხივთამფენელს, რომელი აწ შარავანდედითა ჰმოსავდა დიდ ბიზანტიის სახელმწიფო გუმბათს, ქრისტიანობის ფუძეს უმთავრესს. გამოცდილი სახელმწიფო გონება, ისტორიის მსვლელობით განსწავლილ-დაბრძნობილი, ნათლადა ჰხედავდა, ეს ომი გარდამავალი არ იყო, არც ჟამიერი: ეს იყო ბრძოლა საბედისწერო, რომელი უნდა დამთავრებულიყო ერთ-ერთის გატეხით, განადგურებით.

წინად რომ სპარსეთი დაუცხრომლად ებრძოდა საბერძნეთს წინა აზიაში, ეხლაც იგივე დაუძინებელი ტრობა განეგრძობოდა, მხოლოდ სხვა და სხვა მოდგმის ხალხთა შეპიდებ-შერკინებას ან ნიადაგად დასდებოდა სჯულთ შეჯიბრება, ხოლო სპარსთა ნაცვლად მებრძოლ აზიას სათავეში ჩასდგომოდა უდაბნოში ნაფრთობი არაბი, მზის შვილი ფიცხელი, უფრო მღელვარე. ღიმილით და სიმღერით შეაგებებდა ის თვის სპილენძ გულ-მკერდს სასიკვდინოდ მისდა მიმართულ მახვილს. რა დააღონებდა ბალღობიდანვე ბრძოლის ცეცხლს ნაჩვევ ვაჟკაცს?! თუ მახვილით მოკვდებოდა სჯულის გულისთვის, წილად განცხრომა ჰხვდებოდა იქ, ყოვლად ძლიერისაგან განმზადებულ სავანეში, სად პირმზიარულად მიიღებდა მას უდიდესი წინასწარმეტყველი ზეშთა მეუფისა, შობილთა შორის პირველი, ღმერთშემოსილი. იქ, იმქვეყნიურ წალკოტებში, ისე იბრწყინვებდნენ მისი ჭრილობები, როგორც რამ თვალნი პატიოსანნი, ის ჭრილობები შეიქმნებოდნენ საუკეთესო სამკაულად გულად ვაჟისა, მისკენ მარად მიმზიდველნი სიამისა თუ მშვენებისა.

მაგრამ ეს ლამაზი მომავალი მათთვის მაინც შორეული იყო, შემდეგ საგრძნობი იმ მახლობელ სიკეთის შედარებით, რომელს ი.ინი ესწრაფებოდნენ მაშინვე, ცხოვრებაშივე: ბრძოლაში გაწაფულთ მხოლოდ მახვილს მოწვდა დაესახათ ვაჟკაცის საფერ მოქმედებათ, ერთად-ერთ საპატიო გზად ცხოვრებისა და ეს გზა სახალისო იყო მათთვის და სასარგებლო. მათ ბრძოლა ჰქონდათ ცხოვრების სინოყივრით მთნმთქვინებულ და განაზებულ ხალხთან მომჭირნეობის თუ ამტანობის გადაჩვეულთან; კეკლუცობისაკენ დახრილ ქუდოსნებთან, რომელთათვის ჭრილობა აღარ იყო სამკაული სახისა, ხმლის ნაკვალი თუ ისრის ნასახი სიმახინჯეღა იყო ძნელასატანი. ასეთი ვაჟკაცები როგორ შესძლებდნენ პირისპირ ბრძოლას შოლტივით მოქნილ სხარტ აგარიანებთან?! ისიც ძალიან იზიდავდა არაფრის მექონ ისმაილელებს, რომ ისინი მოსდგომოდნენ ბიზანტიელთა მდიდარ დაბა-ქალაქებს, სადაც განვითარებულ შრომას ბევრი შეეკრიბა ოქრო თუ ვერცხლი, თვალ-მარგალიტი თუ ფარჩეულობა; ხვასტაგი, ჯოგი ნუბბლა ურიცხვი და.... და ქალნი მშვენიერნი, ფუფუნებაში ნაზად აღზრდილნი, სიამეთა ფიალანი ნექტრით სავსენი. ყველა ნაბიჯიბის წადგმა საზეიმო მოძრაობა იყო მათთვის საქორწინოდ მოწყობილ სავსე სეფისკენ. რად შედრკებოდნენ წრთვნილნი მებრძოლნი, რად დაიწვედნენენ, უკუდგებოდნენ?!

ამ მიმზიდველ სანუკვარობას აძლიერებდა მღელვარე თავმოყვარება ახლად აზვირთებულ ხალხისა, რომელი შეენივთებინა მის წიაღში აღმოჩენილ ზეკაცს ფერადებიდან შეთხზილ ახალ მოძღვრებით, ჩაებერნა თაიგულად შეკონილ თემებისთვის სული ძლიერი, ჩაენერგა ახლად აღორძინებულ ერისათვის უძლეველი მისწრაფება დიდებისადმი და დაერწმუნებინა, რომ იგი იყო ზეცისაგან მოწოდებული, რათა გაეტანა კაცობრიობაში ახალი სიტყვა, ახალი გზები ცხოვრებისა, ახალი საძიებელნი სულისა.

მისდევდა არაბისტანი მწვანე ფარჩის დროშას ოქროცურვიოს, გოჰარ შეყრილსა, ოქროს ბირთკით და წვერმახვ სხივის ისრით დაგვირგვინებულს. სწამდა აღფრთოვანებულს, რომ იმ დროშას მიჰყავს იგი დიდებისაკენ, მის ჩრდილქვეშ წინა უძღვის მათ უძლეველი მოადგილე დიდებულის წინასწარმეტყველისა. ვინ შესძლოს წინა აღუდგეს მათ ცეცხლის მახვილს?! ყველა მათგანი ჰხედავდა დროშის კალთაზედ ნათელ ასრებს: „ბიზანტიისკენ!“ და მიდიოდა შეუპოვრად, შეუფერხებლივ. ივლიდაცა წინ, სულ წინ, მინამ არ აღბრწყინდებოდა აიასოფიოს გუმბათზედ მთვარე ახალი ჯვარისა ნაცვლად.

რა ჰქონდა ხელთ ამის ბადალი თუ სადარი განთქმულ ბიზანტიას გულგაფუყებულს? სრულებით არაფერი!

ის აღარ იყო აღფრთოვანებული სარწმუნოებრივი ცეცხლით. ქრისტიანობას უკვე გაევლო აღტყინების ხანი, მიეღო სახე უძრავი სჯულის დებაში, დაწმედილიყო კანონთ კრებებში, შემოეფარგლა თვისი სამზღვრები. აღსრულებას-ღა მოითხოვდა აწ, მორჩილებას განაწესებდა.

კეთილ ცხოვრებას უზრუნველს დაეჩვილებინა ბიზანტიის ნებისყოფა, საგმირო საქმეთადმი მისი მისწრაფება. მათ მხოლოდ უნდოდათ ნებივრად ესარგებლათ იმ ნივთიერი კეთილით, რომელი შეძენილ ჰქონდათ, შეკუჩებული. აღარ ისწრაფვიდნენ გაეტანათ შორს თვისი ძალა მძლავრი, დაემონებინათ თვის ხალხსნურ ჰაზრისათვის მეტი ერთი თუ მეტი არე. ერთი-ღა ჰსურდათ: დაეცვათ საზღვრები უცხო ძალთაგან, ეცხოვრათ მყუდროდ საკარდეეში.

ბიზანტიის სახელმწიფო წყობილება აღარ იყო მთლიან უტეხი. გარეგნობით გრწყინავდა სახელი კეისრისა, მის გულს კი უკვე შეჰპარიოდა სიყანდე. ეს იხატებოდა ტახტის რყევაში, იმპერატორთა ხშირს ცვალებაში, სახელმწიფო ღალატთა სამრავლეში, დიდებულთა მოუსვენარ ვერეგობაში. ეს საფუძველი შერყეული სახელმწიფო ვერ გაუძღებდა მასზედ მოზღვავებულ ძალას, უნდა დანგრეულიყო იგი მის წარმღვნელ დენის წინაშე. ჰხედავდნენ ამას ყველაფერს თვით მპყრობელნი ბიზანტიისა და ცდილობდნენ მეტი დაბრკოლება აღმოეჩინათ არაბთა ძლევამოსილ მსვლელობისათვის, შორს დროისათვის გადაედვათ თვის სამეფოს შერყევა, დაშლა. ერთ ამგვარ სახსართაგანი იყო შექმნა პონტის ნაპირზედ მათ მომხრე სახელმწიფოებისა, რომელნი განაცალკევებდნენ არაბთა საბრძანებელს ბიზანტიიდან და თვის გულ-მკერდს მიუპყრობდნენ ბიზანტიელთა გასაგმირად შემაღლებულ ხმალს.

ამ მიზნით მოხდა ბაგრატიონთა ამაღლებაც საქართველოში. ქართველთა ცხოვრების გული ბაგრატიონთ დასავლეთისკენ გასწიეს, ბიზანტიის სამზღვრებისკენ, რომ განუყრელი კავშირი გამტკიცებულიყო მეტის სიახლოვითაც. ბერძენნი ვერ ენდობოდნენ ქართველ ხოსროიანთ: ამათი მისწრაფება სპარსეთისკენ იყო, საქართველოს ბუნებრივ მოკავშირისა. ჯერ კიდევ იყვნენ ქართლს ხოსროიანნი და ბაგრატიონთ მათი შიშითაც ეპირათ იმპერატორთა მანტიის კალთა. ერისაც ეშინოდა სამეფო გვარს ახალს: ხალხს შეეძლო პირი ექმნა წინამდელ სამეფო გვარეულობისაკენ. მისთვის უალერსებდნენ ერს ბაგრატიონნი, ცდილობდნენ დაერწმუნებინათ, რომ მათი გამეფება საქართველოში თვით მეუფის ნებით მოხდა; მისთვისა ჰქონდა მათ არჩევას სასწაულეარივი სახე: ზეცით მოერთვა გვირგვინი სამეფო ვრცელდება ხალხში თქმა:

— სანამ იგი ზეცით მონაღები გვირგვინი ედგმებათ თავს ბაგრატიონთ, რყევა ვერ შეეხება ქართველთა სამეფოს!

ღირსიც იყვნენ ბაგრატიონნი მეფობისა: ჩამამავალნი იყვნენ თვით ქრისტეს წინაპარისა, დავით წინასწარმეტყველისა, რომელსაც აღთქმული ჰქონდა სამეფო ტახტი უკუნისამდე. ეს ღირსეული გვარი ეხლა კიდეც შეეფერებოდა საქართველოს, მთელი წინა აზიაში ერთადერთ სახელმწიფოს, რომელს ურყეველად დაეცვა ჯული ქრისტესი.

ბიზანტია ეხლა ძალიანა ცდილობდა, არ დაკნინებულიყო ეს სახელმწიფო, ჰშველოდა აშოტს აგარიანთა ურდოებთან უსწორო ბრძოლაში; არ იშურებდა არც გავლენიან სიტყვას, არც ხაზინას, არც მაშველ ლაშქარს, თუ-კი მოსჭარბდებოდა იგი მას, ფრიად შეიწრებულის გარედან ტალღებივით მოსულ მტრების მიერ, ხოლო შინ ხლართვებისაგან ვერაგ დიდებულთა, რომელთ გულს სასტიკადა ზრზნიდა სატანასებური სურვილი გახელმწიფებისა.

ვასილ ბარნოვი.

(გაგრძელება იქნება).

ზემო-ქართლში

სახალხო სკოლების მდგომარეობა. — თანამდებობის პირთაგან სკოლების აწიოკება. — სოფლის სამღვდელოება. — მღვდელი-ყაჩაღი. — ცრუმორწმუნეობა ხალხში, — თიღვის ტაძარი. — გორის სასულიერო სასწავლებლის ბედი.

სახალხო სკოლების საქმე ქართლში ცუდად მიდის. სკოლების სიმცირე საგრძნობია, არიან ხეობები, სადაც სკოლის ხსენებაც კი არ არის. მთელი ხეობა ფროონისა, სადაც ოცდა-ათამდის სოფელი იქნება. სრულიად უსკოლოდ არი მიტოვებული, თუ. მხედველობაში არ მივიღეთ კ. ამირეჯიბის დღეს უკვე სრულიად მიმქრალს. ასევეა სხვაგანაც. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ გორის სამაზრო ერობამ პირველ მიზნად დაისახა სკოლის საქმის მოწესრიგება, რისთვისაც მოკლე-ვადიანი კურსები გახსნა მასწავლებელთა კადრის შესაქმნელად, რომელმაც უკვე 10 თებერვლიდან დაიწყო მოქმედება. კურსებზე მიიღეს ყველა ის, ვისაც დამთავრებული ჰქონდა ოთხი კლასის კურსი რომელიმე სასწავლებელში. დღეს კურსები უკვე შეესებულია და გაჩაღებული მეცადინეობა სწარმოებს. მაგრამ არ შეიძლება ერთი რომ არ შევნიშნოთ, კურსების დამაარსებელთ. მოგეხსენებათ, რომ კურსები დაარსებულნი იყვნენ გორის მაზრისთვის და ამიტომ სასურველი იყო, რომ კურსებზე ადგილობრივ მცხოვრებნი ე. ი. გორის მაზრისანი ყოფილიყვნენ სანახევროდ მაინც, რადგანაც კურს-დამთავრებული ქართლელები უფრო ამჯობინებდნენ თავიანთს სამშობლო ქართლში დარჩენას და აქ სამსახურს. დღეს კურსებზე კი 6—7 კაცი ძლივს არის ქართელი. ეს რასაკვირველია, იმით კი არ აიხსნება, რომ მსურველნი არ მოიძებნებოდნენ ქართლში, ამაში ერთის მხრით დამნაშავეა თვით ერობაც. ერობამ ყველგან ვერ მიაწვდინა ცნობა ამ კურსების გახსნის შესახებ, იმან მხოლოდ გაზეთებში გამოაცხადა ამის შესახებ და როგორც მოგეხსენებათ ქართლის სოფლებში სანთლით რომ ეძებოთ გაზეთს ვერ ნახავთ, რადგანაც ფოსტის მოუწყობლობამ იმათაც კი ვინც განუწყვეტლივ იწერავდენ გაზეთებს ფარი ათქმევინა გაზეთების გამოწერაზე. საქართველოს იმ კუთხეში კი სადაც ბიბლიოთეკებია და გაზეთები მიდის, ადრე გაიგეს კურსების გახსნა და დროზედაც ჩამოვიდნენ კურსებზე. ქართლმა კი დაიგვიანა და როცა უკვე შევსებული იყო კურსები, ქართლელები მაშინ მოვიდნენ ბევრი უკან გაბრუნდა. სასურველია, შემდეგში მაინც იმისთანა საქმე ყოველივე ზომა მიიღოს ხოლმე, რომ ფართო საზოგადოებას აცნობოს ხოლმე მაზრაში და მით საშუალება მისცეს მაზრის მცხოვრებთ მონაწილეობა მიიღონ ამისთანა საჭირო და სასარგებლო საქმეში.

ამ კურსებით რასაკვირველია ცოტად მაინც ეშველება ქართლის სკოლებს, „რომელნიც დიდ ნაკლს განიცდიან მასწავლებლებისას. ჩვენ ვიცით ისეთი სკოლები რომელნიც 6—7 თვის განმავლობაში ეძებდნენ მასწავლებლებს და ვერა პოულობდნენ.

მაგრამ მარტო მასწავლებლების დანიშვნა არ იქნება საკმარისი, საჭიროა უზრინველყოფილნი იყვნენ ისინი სოფლის მოხელეთა თვითნებობისაგან. აი რა ცნობები მოდის სოფლებიდან. ერთ სოფელში მეცადინეობის დროს შეიჭრება კომისარი და ფეჩს, რომლითაც ათბობდნენ კლასს დასტაცებს ხელს და წაიღებს. მასწავლებელი პროტესტს აცხადებს, მაგრამ კომისარი მკვახედ ბრძანებს, — ფეჩი სოფლისაა და რაც მინდა იმას ვუზამო. მოსწავლეებმა სიცივეს ვეღარ გაუძლეს და მიანებეს სკოლაში სიარულს, მასწავლებელმაც გამოჰკეტა კარები სკოლისა და მის მუდარს სოფელმა რომ ან ფეჩი დაებრუნებინათ, ან სხვა ეყიდნათ არაფერი ყურადღება მიაქცია. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. მეორე სოფელში სკოლიდამ კომისარმა სასკოლო ნივთები წაიღო და როდესაც მასწავლებელმა ენერგიულად მოითხოვა ნივთების დაბრუნება კომისარმა თუ არ ვიცი მისმა დამქაშებმა კარგათაც მისცხეს მასწავლებელსა. საბრალო, უმწეო, მასწავლებელი განშორდა სკოლას და მრავალი მოწაფენი უმასწავლებლოდ და უსასწავლებლოდ დარჩნენ. მესამე ადგილს კიდევ მასწავლებლის არ ყოფნის დროს სკოლა გასტეხეს და როგორც უნდოდათ ისე ხმარობდნენ მცხოვრენი.

ასეთს უმწეო მდგომარეობაში არიან დღეს ქართლის სასწავლებლები, საჭიროა ნორჩმა ერობამ სასტიკი ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და ალაგმოს თაეგასულობა იმ პირთა რომელნიც ასეთს მდგომარეობაში აყენებენ მოზარდ თაობის აღზრდის საქმეს სოფელში.

არა უკეთეს მდგომარეობაშია ქართლში სარწმუნოების საქმეც. დიდ ლიახვის ხეობაზე ოსებში, როგორც ჩამოსულებმა გადმოვქცეს გახშირდა სამოქალაქო ქორწინება, უმღვდლოდ მკვდრის დამარხვა და სხვა. მაგრამ თუ ხალხი ამას სჩადის, თვით სამღვდელოებაც ხშირად ვერ არის თავისი მაღალი მოწოდების გამომხატველი. ამ ბოლო დროს ასეთს მაგალითებს ჰქონდა ადგილი. სოფელ ძლევიჯვრის მღვდელი მიემგზავრება რკინის გზის სადგურ ქართლისაკენ, გზაზე შეხვდება ვინმე ოსი, შეაჩერებს და რევოლვერით ხელში უბრძანებს ამოიღოს რაც ჯიბეში ფული აქვს და გადასცეს. ოსი იღებს ჯიბიდგან 1000 მანეთს და გადასცემს მღვდელს, მერმე მგზავრს კიდევ გააძრობს ტანისამოსს და არხეინად გაუდგება გზას, შემდეგ კიდევ დახვდება მეურმეებს და იმათაც რევოლვერით ემუქრება და გაცარცვას მოუნდომებს. მაგრამ მეურმეები მაგრად დაუხვდებიან და მღვდელი ვერაფერს უშვრება. აი ასე თარეშობს მღვდელი, ვიდრე მილიცია არ შეიპყრობს და ციხეში არ უკრავს თავს. მაგრამ დახეთ ხალხის გაკვირვებას, როცა რამდენიმე დღის შემდეგ ეს მოთარეშე ყაჩაღი მღვდელი ისევ-ისევ თავისს სამრეველოში გამოიჭიმება და მღვდელ-მსახურებს შეუდგება. გვაკვირვებს სასულიერო მთავრობის მხრივ სეთი უყურადღებობა და მოთარეშე მღვდლის ასე დაუსჯელად გაშვება. ნუ თუ ამითი უფრო არ ეცემა და მცირდება სამღვდელოება ხალხის თვალში. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა მეორე მღვდელმა ს. ზღუბარში თავისი ძმა მოჰკლა და ისიც თურმე არხეინად დასეირნობს. ნუ თუ ამის შემდეგ ხალხს უფლება არა აქვს ამგვარ სამღვდელოების შესანახად გროშიც არ გაიღოს და სრულიად მათს მოშორებას ლამობდეს თავიდგან.

ანონსები

№ 1 სასტუმრო „ნაპირი“ — ლიცენზია № 0412.
ადგილი აქვს ბინათმფლობელთა საერთო კრებას ... 14—21 ... 6 ... № 116, სასტუმრო „ნაპირი“, ...

ბინათმფლობელთა ყურადღებისთვის!
ბინათმფლობელთა საერთო კრება ... 2 ... № 62 ლიფტის 11 ... № 64 სანიაღვრე 7 ... № 63 ლიფტის 3 ...

ბინათმფლობელთა ყურადღებისთვის!
ბინათმფლობელთა საერთო კრება ... № 3 სადარბაზო ... № 20 ... № 19 ... № 5 ... № 7 ... № 8 ... № 4 ... № 9 ... № 10 ... № 11 ... № 12 ... № 20 ... № 19 ... № 5 ... № 7 ... № 8 ... № 4 ... № 9 ... № 10 ... № 11 ... № 12 ...

ბინათმფლობელთა ყურადღებისთვის!
ბინათმფლობელთა საერთო კრება ... № 3 სადარბაზო